

**სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი პროგრამა.

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის დოქტორი/PhD in Philology  
სწავლების ძირიტადი დარგი სპეციალობა: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ირმა რატიანი.

### **სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

სადოქტორო პროგრამა - "შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა" მულტიდისციპლინარულია, რომლის ძირითად მიზანია ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზი ფართო ლიტერატურულ-თეორიულ და კულტუროლოგიურ ჭრილში.

**ა) პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია თანამედროვე ლიტერატურის თეორიის, შედარებითი ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის აქტუალური პრობლემების კვლევა და სათანადო ანალიტიკურ-კონცეპტუალური დასკვნების გამოტანა, ქართული ლიტერატურული ტექსტების, როგორც საკვლევი მასალის ჩართვა სამეცნიერო კვლევის ინტერესში მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან ფასეული ინტეგრაციის მიზნით.

პროგრამა მიზანად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ანალიზს, როგორიცაა კულტურათმცორისი კომუნიკაციები, სტილისტიკური მოდიფიკაციები, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის პრინციპები გარკვეული კულტურული მოდელების კონტექსტში.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა სთავაზობს სტუდენტს, ლიტერატურული ტექსტების ანალიზს ნაციონალური ჩარჩოებისა და ენობრივი ბარიერების გარეშე. პროგრამის მიზანია, ცალკეული ხალხების მიერ შექმნილი ლიტერატურული ტექსტების შედარებითი ანალიზი და ლიტერატურულ-თეორიული კონცეფციების ინტეგრირება სხვა დისციპლინებთან, როგორიცაა, მაგალითად, ესთეტიკა, ფილოსოფია ან ფიქციანალიზი. შესაბამისად, პროგრამა სთავაზობს სტუდენტს ინოვაციურ თეორიულ რეფლექსიას ენობრივი და დისციპლინური ბარიერების გადალახვისა და კონკრეტული თეორიული მეთოდოლოგიების გამოყენების მეშვეობით.

შედარებითი ლიტერატურთმცოდნეობის პროგრამა ეფუძნება, ერთი მხრივ, ლიტერატურული ტექსტების საფუძვლიანად ცოდნას მეორე მხრივ კი – თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიებით ოპერირებას (როგორიცაა, მაგალითად, ნარატოლოგია, დიალოგური კრიტიკა, რეცეფციული ესთეტიკა, ჰერმენევტიკა და სხვა). პროგრამაზე მიღებულ სტუდენტს საშუალება ეძლევა, ჩამოაყალიბოს საკუთარი ინტერესი რამდენიმე მიმართულებით: ა) აირჩიოს განსხვავებული ნაციონალური ლიტერატურების წიაღში ფორმირებული ტექსტები, რომელთა შედარებითი ანალიზის განხორციელებასაც აპირებს; ბ) მონიშნოს ისტორიული ეპოქები, რომელტაც განეკუთვნებან მისთვის საინტერესო ტექსტები; გ) შეარჩიოს კონცეპტი (პოეტიკური, კრიტიკული ისტორიული), რომლის ირგვლივაც აპირებს კვლევის წარმართვას; დ) აირჩიოს მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც სურს ანალიზის წარმოება; ე) შეარჩიოს ანალიზის გაფართოების პერსპექტივა ინტერდისციპლინურ ჭრილში: ლიტერატურათმცოდნეობა და ფილოსოფია; ლიტერატურათმცოდნეობა და ანთროპოლოგია; ლიტერატურათმცოდნეობა და რელიგია; ლიტერატურათმცოდნეობა და კულტუროლოგია და სხვა. ამგვარი კვლევები ასახავს არა მარტო შედარებითი ლიტერატურის დარგის სპეციფიკას, არამედ გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო პოლიტიკას ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებისა და გაღრმავების მიმართულებით.

პროგრამის მიზანია, მოახდინოს კონკრეტული ტექსტების იდენტიფიკაცია სხვა ტექსტებთან შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ამ ეტაპზე პროგრამის ინტერესის საგანს წარმადგენს რომანის პრობლემა, კერძოდ კი რომანისტიკის ორი მნიშვნელოვანი მიმართულება:

შუასაუკუნეების რომანი და მოდერნისტული რომანი. შესაბამისად, პროგრამაში გაერთიანებულია ორი საკვლევი პრობლემა: შუასაუკუნეების რომანი და რომანის ქანრული მოდიფიკაციები მოდერნიზმის ეპოქაში.

### საკვლევი პრობლემატიკა:

#### შუასაუკუნეების რომანი

საკვლევი პრობლემა არის ინტერდისციპლინური და მიზნად ისახავს შუასაუკუნეების რომანის, როგორც კულტუროლოგიური ფენომენის კვლევას მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის კონტექსტში, მეცნიერთა მომზადებას და ახალი კვლევების განხორციელებას აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის. პროგრამის ძირითადი მიზანია დოქტორანტმა მიიღოს გაღრმავებული ცოდნა შუასაუკუნეების რომანის შესახებ გრადაციის პრინციპის გათვალისწინებით, შესაბამისად, პროგრამის გავლისას წარმოჩინდება შუასაუკუნეების რომანის ევოლუცია ადრეული ეტაპიდან მისი განვითარების კლასიკურ ფორმამდე. მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გამოავლინოს ის კულტურულ-ლიტერატურული კავშირები და ტიპოლოგიური მიმართებანი (სოციალურ-პოლიტიკური ფონი, მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკა, ეთიკური შეხედულებები, ლიტერატურული ეტიკეტი, მხატვრული სტერეოტიპი, შემოქმედებითი მეთოდი), რომლებიც ამ თვალსაზრისით არსებობს სხვადასხვა ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ინგლისი, ესპანეთი) მწერლობას შორის და ამ კონტექსტში განიხილოს შუასაუკუნეების ქართული ლიტერატურული პროცესი, განსაზღვროს ეროვნული მწერლობის ადგილი კაცობრიობის საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში.

კვლევა იწარმოებს კონკრეტული პოეტიკური, კრიტიკული, ისტორიული კონცეპტის (ერთი ან რამდენიმე) ჭრილში. ამასთან, დოქტორანტმა იმთავითვე უნდა შეარჩიოს თეორიული მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებს საკვლევ პრობლემაზე მუშაობისას.

კურსდამთავრებულის ნაშრომში გამოვლინდება საფუძვლიანი ცოდნა შუასაუკუნეების რომანის, როგორც სოციალურ-კულტურული თუ მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის შესახებ. იგი სრულფასოვნად გააცნობიერებს რომანის, როგორც ლიტერატურული ჟანრის თავისებურებებს, მსოფლიო რომანისტიკის განვითარების ტენდენციებს და ამ ზოგად კონტექსტში მოიაზრებს შუასაუკუნეების რომანს, რომელიც ამჟღავნებს სპეციფიკურობას ფორმის, გამომსახველობითი საშუალებების, მოტივაციის და სხვ. თვალსაზრისით. პროგრამის გავლის შემდეგ დოქტორანტი შეიძლება მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ და ფაქტობრივ ინფორმაციას, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს მშობლიური ლიტერატურა და ამ ლიტერატურის თვალსაზრისით მიღწევები გააანალიზოს მსოფლიო ლიტერატურული პროცესისა და გამოცდილების შუქზე.

#### რომანის ქანრული მოდიფიკაციები მოდერნიზმის ეპოქაში

საკვლევი პრობლემა ინტერდისციპლინური. ამ თემის ფარგლებში შეისწავლება მოდერნიზმი, როგორც მე-20 საუკუნის ლიტერატურულ-ესთეტიკური მიმდინარეობა მსოფლიო ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის კონტექსტში, მეცნიერთა მომზადებას და ახალი კვლევების განხორციელებას აღნიშნული საკითხის უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის. მისი მიზანია დოქტორანტმა მიიღოს გაღრმავებული ცოდნა მოდერნიზმის ესთეტიკური საფუძვლების (დეკადენტური (მაგ. სიმბოლისტური ესთეტიკა) და ავანგარდული მოტივები) და სკოლების (ექსპრესიონიზმი, იმაჟენიზმი, ფუტურიზმი, სიურეალიზმი, დადაიზმი და ა.შ.), ისტორიული (I მსოფლიო ომი, 1905 წლის რუსეთის რევოლუცია) თუ კულტურული ფონის შესახებ ინტერდისციპლინურ (არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა, მუსიკა, კინო და ა.შ) კონტექსტში.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოდერნიზმის, როგორც ისტორიულ-ფილოსოფიური თუ სოციალურ კულტურული ფენომენის კონტექსტში აღმოცენებული რომანის ჟანრულ მოდიფიკაციათა დადგენა და კვლევა. ქართული მოდერნისტული რომანის ტიპოლოგიური მიმართებების გამოკვეთა სხვადასხვა ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, იტალია, ინგლისი) მოდერნისტულ რომანისტიკასთან. ამ ტიპის კვლევა საშუალებას მოგვცემს, განვიხილოთ ქართული მოდერნიზმი,

როგორც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის შემადგენელი ნაწილი, განვსაზღვროთ მისი სპეციფიკური ბუნება და ევოლუციის ხასიათი იმ პერიოდის პოეტიკური პროცესების ფონზე. კვლევა იწარმოებს კონკრეტული პოეტიკური, კრიტიკული, ისტორიული კონცეპტის (ერთი ან რამდენიმე) ჭრილში. ამასთან, დოქტორანტმა იმთავითვე უნდა შეარჩიოს თეორიული მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებს საკვლევ პრობლემაზე მუშაობისას. ამ კონკრეტული თემისთვის ინტერდისციპლინური კვლევის მიზნით დოქტორანტს შეეთავაზება ალტერნატივა: ლიტერატურათმცოდნეობა და კულტუროლოგია.

სადოქტორო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საფუძვლიანი ცოდნა მოდერნიზმის, როგორც სოციალურ-კულტურული თუ მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის შესახებ, იგი შეიძენს მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ და ფაქტობრივ ინფორმაციას, რაც მას მომავალში საშუალებას მისცემს განსაზღვროს ქართული მოდერნისტული ლიტერატურის ადგილი და როლი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში და მოგვცეს ამ ფენომენის სრულიად ახლებური რეცეფცია, რაც, უდავოდ, აუცილებელია, გამომდინარე იმ პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნებისგან, რომელშიც ქართული მოდერნიზმი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოექცა.

პროგრამაში გაერთიანებული საკვლევი პრობლემების მიზანია, გამოუმუშავოს დოქტორანტს ლიტერატურული პროცესების გლობალური ხედვა და პრობლემების ინტერდისციპლინური ანალიზის უნარი სხვადასხვა ენებისა და ესთეტიკური მოდელების სიბრტყეზე, კონკრეტული ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციებისა და აკადემიური მიზნების გათვალისწინებით. პროგრამა სთავაზობს ახალგაზრდა მეცნიერს მასშტაბურ კვლევით პერსპექტივას და კონკრეტული ლიტერატურული პრობლემის ანალიზს ფართო ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ ჭრილში. პროგრამაში გაერთიანებული თითოეული საკვლევი თემის მიზანია ძველი და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების გადააზრება, თანამედროვე თეორიული კონცეფციების პრაქტიკული რეპრეზენტაცია, თეორიული, ისტორიული და კრიტიკული ანალიზის ფასეული კომბინაცია. ამ ტიპის ანალიზი საშუალებას აძლევს მეცნიერს, გააფართოვოს ლიტერატურული კვლევების არეალი მასშტაბური კულტურული მოდელებისაკენ – ისტორიული, ფილოსოფიური, ლინგვისტური თუ სხვა, რაც გამოვლენს ლიტერატურის, როგორც მატერიალური განსახოვნებისა და სიმბოლური კომუნიკაციის ფორმის როლს.

### ბ) პროგრამის შედეგები:

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად, ახალგაზრდა მეცნიერი წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომს, რომელიც თავისი შინაარსითა და შესრულების მეთოდოლოგიით იქნება ახალი სიტყვა და ნოვატორული ნაბიჯი ქართულ მეცნიერებაში.

ამასთან, დოქტორანტი შეიძენს მნიშვნელოვან კომპეტენციებსა და უნარებს. მათ შორის:

#### 1. ცოდნა და გაცნობიერება:

აქვს ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც დარგობრივ სფეროში საერთაშორისო პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა. შეუძლია პრობლემის გააზრება და ანალიზი ინტერდისციპლინარულ (სხვადასხვა მეთოდების – კომპარატივისტული, ტიპოლოგიური, სემიოტიკური, სემიოტიკურ-ჰილისტიკური, ჰილისტიკური და სხვა – გამოყენებით) და ინტერკულტურულ კონტექსტში. სრულყოფილად ფლობს სამეცნიერო აპარატს. აქვს პრობლემის დასმისა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით მისი დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი. ახლებურად იკვლევს საანალიზო საკითხს. შეუძლია ეთიკური პოზიციის ჩამოყალიბება. სრულად ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს.

#### 2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

შეუძლია პრობლემის გადაჭრა დამოუკიდებლად ორიგინალური გზით; შეუძლია პროფესიულ დონეზე ამოცანათა დაგეგმვა და პრაქტიკულად განხორციელება; შეუძლია მოქმედება რთულ და მოულოდნელ, სპეციალიზებულ კონტექსტში. ფლობს დარგისათვის სპეციფიკურ მეთოდებს ექსპერტის დონეზე, მუშაობს ზუსტად და ეფექტურად; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების განვითარება ახალი სიტუაციებში. ქმნის ახალ ცოდნას, შეიმუშავებს კვლევის ახალ მეთოდებსა და მიდგომებს.

### **3. ზოგადი / ტრანსფერული უნარები:**

**კოგნიტური უნარები:** კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემებისადმი სისტემური მიდგომა და ანალიზი. შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება-განვითარებას უწყობს ხელს.

**მეთოდოლოგირი უნარები:** შეუძლია პროფესიული და კომპლექსური პრობლემების განსაზღვრა, მათი გადაჭრისათვის ახალი იდეებისა და მეთოდების შემუშავება და გამოყენება. იცნობს და საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად იყენებს დამატებით რესურსებს. დამოუკიდებლად გეგმას და ხელმძღვანელობს ჯგუფის მუშაობას.

**ტექნოლოგიური უნარები:** იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), ფლობს მულტიმედია კომპეტენციას, რომელიც ხელს უწყობს მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში.

**ლინგვისტური უნარები:** შეუძლია რთული და სადავო ინფორმაციის მკაფიო და ეფექტური გადაცემა სპეცილისტებისა და არასპეციალისტებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების გათვალისწინებით.

**კომუნიკაცია – უნარები:** შეუძლია რთული, ვრცელი ტექსტების გაგება და მათში არაპირდაპირ გადმოცემული ინფორმაციის ამოცნობა. თავისუფლად იყენებს ენას სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბროდ.

**კითხვა – უნარები:** შეუძლია ვრცელი, კომპლექსური ტექსტების გაგება ყველა დეტალის ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეხება ის მის პროფესიულ თუ სხვა თემას. შესაძლოა დასჭირდეს განსაკუთრებით რთული ადგილების გადაკითხვა.

**წერა – უნარები:** შეუძლია მკაფიოდ სტრუქტურირებული ტექსტის დაწერა კომპლექსურ თემებზე თხზულების, წერილის ან ანგარიშის ფორმატში; მთავარი საკითხების გამოყოფა და შესაბამისი სტილის შერჩევა.

**სოციალური უნარები:** შეუძლია ჯგუფის ეფექტური ხელმძღვანელობა, ამოცანების მკაფიო ფორმულირება და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური გამოყენება. შეუძლია კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

**სისტემური უნარები:** იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს. დამოუკიდებლად გეგმას, ახორციელებს და ზედამხედველობს ინოვაციურ კვლევას, იყენებს და თავად შეიმუშავებს კვლევის უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს. დამოუკიდებლად შეიმუშავებს ახალ პროექტებს და მართავს განხორციელების პროცესს. დამოუკიდებელი და თვით-კრიტიკულია სწავლისა და მუშაობის დროს; ხელს უწყობს სხვების სწავლას; აქვს პასუხისმგებლობის გამოკვეთილი გრძნობა და სრულიად ავტონომიურია რთულ და მოულოდნელ სიტუაციებში ინიციატივის გამოჩენისას.।

### **სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.**

- მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი ჰქონილი კუმანიტარულ მეცნიერებებში.
- ევროპული ენის (ინგლისური, გრძმანული, ფრანგული) B2 დონის ცოდნა.

### **გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:**

აღნიშნული სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც მკვლევარსა და ლექტორს, მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში;
- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში;

- მუზეუმებში;
- საქართველოს ცენტრალურ არქივსა და სხვა არქივებში;
- საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიასა თუ სემინარიაში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში;
- რადიოსა და ტელევიზიაში რედაქტორად და კონსულტანტად;
- არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ექსპერტად.

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგში.

**სასწავლო კომპონენტი:**

სასწავლო კომპონენტი	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
<b>სავალდებულო კომპონენტები:</b>		<b>25</b>
სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
მეცნიერების მენეჯმენტი	სავალდებულო	5
დოქტორანტის კოლოკვიუმი (I და II)	სავალდებულო	10
პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5
<b>არჩევითი კომპონენტები:</b>		<b>35</b>
კვლევის მეთოდები	არჩევითი	5
საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები	არჩევითი	5 – 30
აკადემიური წერა	არჩევითი	5
ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	არჩევითი	10
საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები	არჩევითი	5 - 15
უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები	არჩევითი	5 - 60
<b>სასწავლო კომპონენტი</b>	<b>სულ</b>	<b>60</b>
<b>სადოქტორო დისერტაცია</b>		<b>120</b>
<b>სულ</b>		<b>180</b>

## **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

მატერიალურ ტექნიკურ ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, ბიბლიოთეკა; აგრეთვე, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის აუდიტორიები, კომპიუტერული რესურს-ცენტრი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლიტერატურული არქივი.

პროგრამაზე შესაძლებელია 4 დოკტორანტის მიღება;

**პროგრამაში მონაწილეობენ:** თსუ აკადემიური პერსონალი, პროფესორი: ირმა რატიანი, ასოცირებული პროფესორები: მაკა ელბაქიძე, რამაზ ჭილაია, თენგიზ კიკაჩეიშვილი,

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები (კონსულტანტების სახით): გაგა ლომიძე, ლალი ავალიანი, მაია ჯალიაშვილი.